

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის”

აღმასრულებელი საბჭოს სხდომის

ოქმი

21 დეკემბერი, 2011

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მისამართი:

ქ.თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ 36.

სხდომის დაწყების დრო 19:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), ზაზა ბიბილაშვილი, ზვიად კორძაძე, ნოდარ ფეიქრიშვილი, იმედა დვალიძე, გონა სვანიძე, ცისმარი ონიანი.

დღის წესრიგი:

1. ასოციაციაში გაწევრინება;
2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრინება;
3. რუსუდან ცერცვაძის განცხადება 2011 წლის 17 იანვრის აღმასრულებელი საბჭოს მიერ ცნობად მიღებული გადაწყვეტილების (საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ 21³ მუხლის, 1 პუნქტის, “დ” ქვეპუნქტის საფუძველზე საადვოკატო უფლებამოსილების შეწყვეტა რუსუდან ცერცვაძის მიმართ) ბათილად ცნობის შესახებ;
4. დალიდა თათეშვილის განცხადება საწევრო გადასახადის გადავადების და უფლებამოსილების აღდგენის შესახებ;
5. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების შესახებ მსჯელობა, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 21.17 მუხლის მიხედვით, ეთიკის კომისიის იურისტის თანაშემწის შტატის დამატების შესახებ 400 ლარი ხელფასით;

6. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების შესახებ მსჯელობა, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 21.17 მუხლის მიხედვით, ეთიკის კომისიის იურისტების შრომითი ანაზღაურების გაზრდის შესახებ (1125 ლარის ოდენობით (ხელზე ასაღებად 900 ლარის ოდენობით, როგორც კი ასოციაციას ამის ფინანსური საშუალება ექნება);
7. ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ ადვოკატ შორენა ვარდუკაძის მიმართ საადვოკატო საქმიანობის უფლების 2 წლით ჩამორთმევის თაობაზე;
8. ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგების დამტკიცება;
9. ლეილა თავამაიშვილის განცხადება საწევრო გადასახადის გადავადების შესახებ 2012 წლის თებერვლამდე;
10. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის აკაკი ჩარგეიშვილის განცხადება 2012 წლის ასოციაციის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში სარევიზიო კომისიის საქმიანობისთვის 27 000 ლარის გამოყოფის შესახებ (12 000 ლარი, ხელფასი 1 სპეციალისტი, თვიური ანაზღაურება დარიცხვით 1000 ლარი -12 თვე; 15 000 ლარი, დამოუკიდებელი აუდიტორის მომსახურების ღირებულება).
11. საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21² მუხლის, 1 პუნქტის, “ა“ ქვეპუნქტის თანახმად, წევრობის შეჩერების შესახებ ადვოკატთა პირადი განცხადებების განხილვა.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა :

1. საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი ყველა გასაწევრიანებელ პირთა განცხადება თანდართული საბუთებით;
 - ა). საქართველოს კანონის « ადვოკატთა შესახებ » მე-10 მუხლის, 1 პუნქტის « გ » ქვეპუნქტის თანახმად, **თამარ ჯინჭარაულის** განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ არ დაკმაყოფილდეს. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს აღნიშნულ პირს;
 - ბ). გაგზავნილ იქნას წერილი ლევან დავითაიას შრომითი გამოცდილების შესახებ ცნობის გამცემი ორგანოს მისამართით დამატებითი ინფორმაციის მოწოდების მიზნით. აღნიშნული ინფორმაციის მიღებამდე, **ლევან დავითაიას** განცხადების განხილვა ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ გადაიდოს. ლევან დავითაიას ეცნობოს აღნიშნული ღონისძიების გატარების შესახებ ;
2. დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარდგენილი იმ უფლებამოსილება შეწყვეტილ პირთა განცხადებები ხელახალი გაწევრიანებისთვის, რომლებიც შეესაბამებიან საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის, 1 პუნქტის მოთხოვნას გაწევრიანებაზე;
3. დაკმაყოფილდეს **რუსუდან ცერცვაძის** განცხადება 2011 წლის 17 იანვარს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების (საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ 21³ მუხლის, 1 პუნქტის, “დ” ქვეპუნქტის საფუძველზე

საადვოკატო უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ რუსუდან ცერცვაძის მიმართ) ბათილად ცნობის შესახებ.

4. არ დაკმაყოფილდეს **დალიდა თათეშვილის** განცხადება საწევრო გადასახადის გადავადების ნაწილში, ვინაიდან, 2011 წლის 21 ოქტომბრის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით 2011 წლის 1 ნოემბრიდან საქართველოს კანონის « ადვოკატთა შესახებ » 2¹³ მუხლის 1 პუნქტის “ზ”-ქვეპუნქტის შესაბამისად, დალიდა თათეშვილს შეუწყდა უფლებამოსილება საწევრო შენატანის გადაუხდელობის გამო, ხოლო მისი განცხადების განხილვა უფლებამოსილების აღდგენის ნაწილში გადაიდოს საბჭოს შემდგომი სხდომისთვის, დალიდა თათეშვილის მიერ საწევრო შენატანის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენამდე ;
5. არ დაკმაყოფილდეს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატთა, ეთიკის კომისიის იურისტის თანაშემწის შტატის დამატების შესახებ 400 ლარი ხელფასით;
6. არ დაკმაყოფილდეს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ეთიკის კომისიის იურისტების შრომითი ანაზღაურების გაზრდის შესახებ (1125 ლარის ოდენობით (ხელზე ასაღებად 900 ლარის ოდენობით);
7. ეთიკის კომისიის მიერ მიმდინარე წლის 26 აგვისტოს მიღებული №030/11 გადაწყვეტილების თანახმად, ადვოკატ **შორენა ვარდუაძეს** ჩამოერთვას საადვოკატო საქმიანობის უფლება 2 წლის ვადით. აღნიშნულ პირს გაეგზავნოს წერილი;
8. დამტკიცებულ იქნას ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგები;
9. არ დაკმაყოფილდეს **ლეილა თავამაიშვილის** განცხადება 2012 წლის თებერვლამდე საწევრო გადასახადის გადავადების თაობაზე. აღნიშნულ პირს გაეგზავნოს წერილი.
10. ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის განცხადება 2012 წლის ასოციაციის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში სარევიზიო კომისიის საქმიანობისთვის 27 000 ლარის გამოყოფის შესახებ (12 000 ლარი, ხელფასი 1 სპეციალისტი, თვიური ანაზღაურება დარიცხვით 1000 ლარი -12 თვე და 15 000 ლარი დამოუკიდებელი აუდიტორის მომსახურების მიზნით), **კერძოდ:**

ა). სარევიზიო კომისიის კოორდინატორის ფუნქცია დაემატოს ასოციაციის მდივან-რეფერენტს და აღმასრულებელი საბჭოს კოორდინატორს, ქეთევან ჯაფარიძეს. აპარატის არსებულ საშტატო განრიგში შევიდეს ცვლილება და აღმასრულებელი საბჭოს კოორდინატორის და მდივან-რეფერენტის შტატი ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით: **მდივან-რეფერენტი და აღმასრულებელი საბჭოს/სარევიზიო კომისიის კოორდინატორი.** 2012 წლის 1 იანვრიდან აღნიშნული შტატის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრის 1525 ლარით (ხელზე ასაღებად 1220 ლარით). 2012 წლის 1 იანვრიდან შევიდეს შესაბამისი ცვლილება ასოციაციის ბიუჯეტში.

ბ). დამოუკიდებელი აუდიტორის მომსახურების მიზნით, ასოციაციის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გამოყოფილ იქნას 15 000 ლარი. შესაბამისი ცვლილება შევიდეს ასოციაციის ბიუჯეტში.

11. საბჭოს შემდგომი სხდომისთვის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული და კომერციული სამართლის კომიტეტების ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილი იქნას კუთვნილი კომიტეტების სამუშაო გეგმები.

ა). ასოციაციის PR მენეჯერის მიერ წარმოდგენილ იქნას 2012 წლის სამუშაო გეგმა.

12. საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ”, 21² მუხლის, 1 პუნქტის, “ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღნიშნულ პირებს (92 ადვოკატი) შეუჩერდეთ წევრობა. წევრობის შეჩერება მოხდეს პირად განცხადებაზე მითითებული რეგისტრაციის თარიღის მიხედვით.

ზაზა ხატიაშვილი

ასოციაციის თავმჯდომარე